

დეკრეტული ფულის წარმოშობის ობიექტური წინაპირობები და ევოლუცია

ვალერი მოსიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

მედეა ჭელიძე

სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დეკრეტული ფულის წარმოშობის წინაპირობები მისი პირველადი „შემთხვევითი“ ფორმებიდან. არსებული ქართული და უცხოურენოვანი ლიტერატურის მოძიებისა და შესწავლის საფუძველზე, მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა შესაბამისი კვლევა, რამაც საშუალება მოგვცა დეტალურად და არგუმენტირებულად გაგვეანალიზებინა დეკრეტული ფულის წარმოშობის ობიექტური წინაპირობები. ცნობილია, რომ მან განვითარების არც თუ მარტივი გზა გაიარა, ვიდრე თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა.

დეკრეტული ფულის კვლევის პროცესში ასევე გამოვიყენეთ ისტორიული ანალოგიის და ექსტრაპოლაციის მეთოდები, რათა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ქალაქის ფულის განვითარების წინამძღვრები და თავისებურებები აზიის და ევროპის ქვეყნების მაგალითზე. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ავტორისეული დასკვნები, გამოვეყავით ობიექტური გარემოებები, რომლებმაც განაპირობა ლითონური ფულადი სისტემის „მოდერნიზების“ აუცილებლობა, გამოვკვეთეთ მსგავსება/განსხვავებები ქალაქის ფულადი სისტემის განვითარების ეტაპებში იმ პერიოდის აზიისა და ევროპის ნამყვანი ქვეყნების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: დეკრეტული ფული, ქალაქის ფული, მონეტა, ბანკნოტა, ფულის ემისია.

OBJECTIVE PREREQUISITES AND EVOLUTION OF THE ORIGIN OF FIAT MONEY

Valeri Mosiashvili

Professor, Georgian National University SEU

Medea Chelidze

Professor, Georgian Technical University

ABSTRACT

This article examines the prerequisites for the emergence of fiat money from its primary “random” forms. Based on the search and study of existing Georgian and foreign literature, based on secondary information, a corresponding study was conducted, which made it possible to analyze in detail and reasoned the objective preconditions for the emergence of fiat money. It is known that

they went through a not so simple development path before they formed in their modern form.

In the process of researching fiat money, we also used methods of historical analogy and extrapolation in order to compare the prerequisites and features of the development of paper money in Asian and European countries. Based on the obtained information, we formulated the authors' conclusions, identified the objective circumstances that led to the need to “modernize” the metallic monetary system, outlined the similarities/differences in the stages of development of the paper monetary system using the example of leading countries in Asia and Europe.

Key words: fiat money, paper money, coin, banknote, money issue.

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში - სახელმწიფოს მიერ გამოშვებული „ღირებულების მქონე ქალაქის ნიშნები“, რომლებსაც გააჩნიათ ოფიციალური იძულებითი ნომინალი და უნიფიცირებული ფორმა, რაც მათ ანიჭებს საზოგადოებრივ მნიშვნელობას, საყოველთაო მიმღებობას (ექვივალენტობას) და მიმოქცევადობას ქვეყანაში, მოიხსენიება, როგორც ქალაქის ანუ „საკრედიტო ფული“, რომელსაც არ აქვს საკუთარი ღირებულება, რადგან მის დამზადებაზე შრომის დანახარჯები უმნიშვნელოა. ქალაქის ფულის ნომინალურ ღირებულებასა და მისი დაბეჭდვის ხარჯებს შორის სხვაობა ქმნის საემისიო შემოსავალს. ქალაქის ფული ასრულებს ფულის ძირითად ფუნქციებს და არ მიეკუთვნება ფასიან ქალაქებს¹.

ძირითადი ტექსტი

ქალაქის ფულის შემოღებასთან დაკავშირებით წყაროები სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, რადგან ერთ შემთხვევაში მითითებულია კერძო ჩინური ქალაქის ფულის შემოღების თარიღი (ახ. წ. VIII საუკუნე), ხოლო მეორე შემთხვევაში - სახელმწიფო ქალაქის ფულის შემოღების თარიღი (ახ. წ. 812 წ.) (Kann E., 2023).

ქალაქის ფულის ისტორია, დიდი ალბათობით, იწყება ძვ. წ. I საუკუნიდან და დაკავშირებულია ტყავის ფულთან. იმპერატორ ვუს (*Wudi*, ძვ. წ. 141-87 წწ., ხანის დინასტიიდან) დროს ძველ ჩინეთში შემოიღეს

1 <https://old.bigenc.ru/economics/text/1888390>

თეთრი ირმის ტყავისგან დამზადებული ფული, რომელსაც ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. მასზე დატანილი იყო სპეციალური ნიშნები და ბეჭდები. ამ თავისებურ ფულს განსხვავებული მსყიდველობითი ძალა ჰქონდა და სიკვდილით დასჯის შიშით სავალდებულო იყო მისი მიღება მთელი იმპერიის ტერიტორიაზე.

ქალაქის ფულის ქსილოგრაფიული ბეჭდვის პირველი მცდელობები განხორციელდა ტანის დინასტიის მმართველობის დროს, სადაც ანგარიშსწორებისთვის იმ დროს გამოიყენებოდა სპილენძის 4-გრამიანი მონეტები.

ჩვენამდე მოაღწია ანაბეჭდმა, რომელიც, დიდი ალბათობით, ასახავს იმ პერიოდის ფულის დიზაინს. თუმცა ეს ქალაქის ფული არ იყო გამოშვებული ხელისუფლების გადანაცველებით და არ ჰქონდა ოფიციალური დამლა. ამ მიზეზით, ძნელია მათ თანამედროვე გაგებით კანონიერი გადახდის საშუალება ვუწოდოთ.

ჩინეთში ანგარიშსწორების ერთადერთი საშუალება იყო მცირე ნომინალის იუან-პაოს მონეტები. ყველაზე ძვირი შენაძენებისთვისაც კი იუან-პაო გამოიყენებოდა, ამიტომ ხშირად საჭირო ხდებოდა მათი ასხმების სახით გამოყენება, ხოლო განსაკუთრებით დიდი შენაძენებისთვის მონეტებს ურმებზე ტვირთავდნენ. ფულის ამგვარი მიმოქცევა თანდათან ძალზე მოუხერხებელი გახდა, მაგრამ მსხვილი ნომინალის მონეტების გამოშვება მაინც არ ხდებოდა. ამის სანაცვლოდ, იმპერატორმა გადანაცვითა აპრობირებული მეთოდის - სავალო ხელწერილების გამოყენება. პირველი ემისიისთვის გამოიყენეს კეთილშობილი ხარისხის ქალაქი, რომელზეც მითითებული იყო, რომ ყველა ასეთი ქალაქი უპირობოდ იცვლებოდა 10 000 სპილენძის მონეტაზე.

პირველ ქალაქის ფულს ძველ ჩინეთში „მფრინავი ფული“ შეარქვეს. ის წარმოადგენდა კერძო პირების წერილობით სავალო ვალდებულებას. მსგავსი გამოცდილება შემდეგ ხელისუფლებამაც გადაიღო. „მფრინავი“ ფულს შეარქვეს იმის გამო, რომ ის გაცილებით მსუბუქი იყო მის სპილენძის ეკვივალენტთან შედარებით. ლითონის მონეტების ასხმა, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ძირითად ფულის ერთეულს, იწონიდა დაახლოებით 3 კგ-ს.

ქალაქის ფულის შექმნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ IX საუკუნის დასაწყისში რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოვება. ვაჭრებს უჭირდათ დიდი ოდენობის მძიმე სპილენძის მონეტების გადატანა დიდ მანძილზე. გარდა ამისა, ქალაქის ფულის ემისია ლითონების ეკონომიის საშუალებას იძლეოდა ამ უკანასკნელთა უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის გამოყენების მიზნით.

პირველი ბანკნოტები უფრო ჩეკებს წაგავდა, ვიდრე თანამედროვე ქალაქის ფულს. ძველ ჩინეთში არ არსებობდა წერილი ნომინალის ბანკნოტები. ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ დიდი მოცულობის გარიგე-

ბების დადებისას. ქალაქის ფულზე აღბეჭდილი იყო იმ ოფიციალურ თანამდებობის პირთა სახელები და ბეჭდები, რომლებიც ახორციელებდნენ ბანკნოტების გამოშვებას. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ გვაქვს წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ, როგორ ფუნქციონირებდა ქალაქის ფულის სისტემა მისი არსებობის დასაწყისში (მოსიაშვილი ვ., 2023).

ადრეული „მფრინავი ფული“ არ იყო ფული ამ სიტყვის სრული გაგებით. მისი მიმოქცევის ფარგლები საკმაოდ შეზღუდული იყო. რეალური მნიშვნელობა „მფრინავმა ფულმა“ მოიპოვა სუნის დინასტიის დასაწყისში, როდესაც მისი გამოყენება დაიწყო სიჩუანის პროვინციის მდიდარი ვაჭრებისა და ფინანსისტების ჯგუფმა. შემთხვევითი არ არის დამთხვევა, რომ ამავე ტერიტორიაზე გამოიგონეს ბეჭდვის ხელოვნება. სიჩუანში გამოშვებული ყოველი ბანკნოტი შეიცავდა შენობების, ხეებისა და ადამიანების მაღალმხატვრულ გამოსახულებებს. ბეჭდვისას იყენებდნენ წითელ და შავ მელანს, ხოლო თითოეულ ბანკნოტზე დატანილი იყო ემიტენტის ბეჭედი და კონფიდენციალური ნიშნები. სიჩუანში გამოშვებული ქალაქის ფული რთული გასაყალბებელი იყო. ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ემიტენტთან შესაძლებელი იყო მისი გადაცემა ლითონის ფულში. მისი საიმედოობის გამო, ქალაქის ფული სწრაფად გავრცელდა. ბანკნოტებს ხალხით იღებდნენ ვალის გადასახდელად და ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად (Mosiashvili, V., Chelidze M., 2020).

1023 წელს ხელისუფლებამ ქალაქის ფულის გამოშვებაზე სახელმწიფო მონოპოლია შემოიღო და უკვე თვითონ დაიწყო სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტების გამოშვება. ამრიგად, მსოფლიოში პირველი სახელმწიფო სარეზერვო ბანკის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთის საიმპერიო ბანკი. ბანკის მიერ გამოშვებული ფული შეიცავდა ინფორმაციას, რომ იგი ინარჩუნებს ღირებულებას ემისიიდან 3 წლის განმავლობაში. მთავრობის ახალი პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდა ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ყოველი ბანკნოტი უზრუნველყოფილი იყო ლითონის ფულით. მეორე, ქალაქის ფული და მონეტები სრულად ურთიერთმცვლელი იყო, ფულადი მიმოქცევის სფეროში არანაირი შეზღუდვა არ იყო გათვალისწინებული.

ქალაქის ფულთან ერთად გამოჩნდა მისი პირველი ყალბი ასლები. შესაბამისად, გაყალბებისგან ბრძოლის მიზნით სულ უფრო რთულდებოდა ბეჭდვის ხარისხი. ქალაქის ფულის დასაბეჭდად მთავარ მასალას წარმოადგენდა თუთიის ხის ქერქი. გაყალბების თავიდან ასაცილებლად, 1107 წელს სიჩუანში გამოშვებული ქალაქის ფულის დასაბეჭდად გამოიყენეს სამი ფერის საღებავი - შავი, წითელი და ლურჯი.

რაც შეეხება იაპონიას, შუა საუკუნეებში იაპონიის

ეკონომიკა მთლიანად სოფლის მეურნეობაზე იყო დაფუძნებული. ფულის მიმოქცევის საშუალებად გამოიყენებოდა ყველაზე მოთხოვნადი საქონელი, როგორცაა ბრინჯი და ქსოვილები. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის განვითარებამ და პროდუქციის სიჭარბემ, რომელიც შეიძლებოდა გაეცვალებოდა სხვა საქონელსა და მომსახურებაზე, შექმნა მზარდი მოთხოვნა უნივერსალურ ფულზე. იაპონელებს სჭირდებოდათ ფულის მიმოქცევის საშუალება, რომელიც ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმს დააკმაყოფილებდა: იქნებოდა გრძელვადიანი, გაყოფადი და პორტაბელური (Kann E., 2023).

იაპონური ქალაქის ფულის გამოჩენა შეუძლებელი იყო მისი დამზადების ტექნოლოგიის იმპორტის გარეშე. ჩინელები გულმოდგინედ ინახავდნენ ქალაქის დამზადების საიდუმლოს. მისი წარმოების ტექნოლოგიის საზღვარგარეთ გატანა აკრძალული იყო. თუმცა VII საუკუნეში მოხეტიალე კორეელმა ბუდისტმა ბერმა დამ ძინმა (*Dam Jing*) იაპონიაში იმოგზაურა და თან ქალაქის ხელნაწერები ჩაიტანა, რომლებიც თუთის ხის ქერქისგან იყო დამზადებული. უკვე 708-806 წლებში ქალაქის დამზადების ტექნოლოგია სწრაფად გავრცელდა იაპონიის 40 სხვადასხვა პროვინციაში. მომდევნო 100 წელიწადში იაპონური ქალაქი ხარისხით ჩინურ ქალაქზე უკეთესი გახდა, შეიქმნა ბევრი მცირე სახელოსნო, რომელიც აწარმოებდა ქალაქს.

XVI საუკუნის ბოლოს იაპონიაში პირველად გამოჩნდა კერძო ქალაქის ფული (კუნძულ ჰონსიუს დასავლეთ რეგიონი). წვრილი ფულის დეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად იამადას პროვინციაში გამოიყენეს პირველი ქალაქის ფული, რომელიც გამიზნული იყო სიმბოლური ფულადი გაცვლისთვის. ფულს ერქვა „იამადა ჰაგაკი“ (*Yamada Hagaki*) და ჰქონდა ვიწრო ოთხკუთხედის ფორმა ზომით 3,5×21 სმ. ზემოდან ქვემოთ მასზე დატანილი იყო ბეჭდური წესით შესრულებული რამდენიმე ინფორმაცია: ნომინალი (ვერცხლის მონეტა); წმინდა ხელმოწერა, რომელსაც უნდა დაეცვა ფული ქურდობისგან; ემიტენტის ბეჭედი; აღნიშვნა კონვერსიის შემდეგ ლითონის ფულზე გაცვლის შეუძლებლობისა და მოქმედების ვადის შესახებ; ემიტენტის სახელი.

იამადა ჰაგაკის ემისიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაპონიის ფულადი სისტემის განვითარების ისტორიაში. პირველი, იამადა ჰაგაკის ემისია ხორციელდებოდა უწყვეტად 300 წლის განმავლობაში. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქალაქის ფული წარმოადგენდა კერძო ფულის ნიშნებს და ემიტირდებოდა ადგილობრივი ბიზნეს ელიტის კონტროლის ქვეშ, მან მიიღო ფართო აღიარება, როგორც ეროვნული მნიშვნელობის ვალუტამ. მესამე, იამადა ჰაგაკი გახდა იაპონიის ბანკის თანამედროვე ბანკოტების პროტოტიპი.

ქალაქის ფული ევროპაში გაცილებით გვიან

გამოჩნდა, ვიდრე ჩინეთში, იაპონიასა და არაბულ სამყაროში. უპირველეს ყოვლისა, ევროპელებს არ გააჩნდათ ქალაქის წარმოების ტექნოლოგია. ქალაქის როლს ასრულებდა პერგამენტი, რომელიც გამოიგონეს მცირე აზიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი მზადდებოდა ცხოველის ტყავისგან საკმაოდ რთული ტექნოლოგიით, სამაგიეროდ იყო ძალიან გამძლე და მაღალი ხარისხის ხელნაწერების გაკეთების საშუალებას იძლეოდა.

ჩრდილოეთ აფრიკის გავლით X საუკუნეში ქალაქი შეიტანეს ესპანეთში, რომლის ნაწილი იმ დროს მუსულმანებს ეკუთვნოდათ. პირველი ევროპული ქალაქის წარმოება გაიხსნა 1151 წელს ესპანეთში. თუმცა, მან ვერ ჰპოვა აღიარება რელიგიური ცრურწმენების გამო. შუა საუკუნეებში კათოლიციზმის წარმომადგენლები ხელს უშლიდნენ ქალაქის გავრცელებას, რადგან მიაჩნდათ, რომ ის წარმართული სამყაროდან იღებდა სათავეს.

XVII საუკუნის პირველ ევროპულ საბანკო ცენტრებში, ვენეციასა და ჰოლანდიაში, აქტიურად გამოიყენებოდა დეპოზიტური ხელწერილები. იმ შორეულ დროში საბანკო ინსტიტუტები ძალზე იშვიათი იყო, ხოლო ბევრ ქვეყანაში ისინი არც არსებობდა. საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებდნენ ვენეციური ბანკები, რომელთაგან პირველები იყვნენ Banco di Rialto და Banco del Giro (ცნობილი, როგორც Banco di Venezia). ისინი უშვებდნენ საკუთარ ბანკოტებს ხელწერილების სახით, რომლებიც ადასტურებდნენ ანგარიშებზე ლითონის ფულის დეპონირებას (Langlois V., 1961).

განსაკუთრებით პოპულარული იყო ვენეციური ბანკების ბანკოტები, რადგან ისინი კოტირდებოდა უფრო ნაკლებად, ვიდრე მიმოქცევაში არსებული მონეტები და ფასდაკლება ნომინალზე (ე.წ. *disaggio*) განიხილებოდა, როგორც სადაზღვევო დისკონტი. მეორე ადგილზე პოპულარობით ჰოლანდიური ბანკები იყვნენ, რომელთა შორის ლიდერობდა ქალაქის ხელისუფალთა მიერ 1609 წელს დაარსებული Amsterdamsche Wisselbank (მოსიაშვილი ვ., საბანკო საქმე, 2021). ის აკრედიტებდა ამსტერდამს, ჰოლანდიის პროვინციებს და ვესტი-ინდოეთის სახელმწიფო კომპანიას. გარდა ამისა, Wisselbank პასუხისმგებელი იყო მონეტების მოჭრასა და სათამაშო ოპერაციებზე. მოგვიანებით, 1683 წელს, მას ასევე ნება დართეს სესხები გაეცა კერძო სექტორისთვის ჰოლანდიაში. ბევრი გადახდები, მათ შორის გადასახადების გადახდა, ხორციელდებოდა Wisselbank-ის მეშვეობით, ამიტომ ფინანსური კომპანიებისთვის მომგებიანი იყო მასში ანგარიშების ქონა.

პირველი ცენტრალური ბანკი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, შეიქმნა შვედეთში. მისი წინამორბედი იყო Stockholm Banco, რომელიც დაფუძნდა 1654 წელს. ფორმალურად იგი ითვლებოდა კერძო

ორგანიზაციად, მაგრამ სამეფო ოჯახთან კავშირების გამო ფაქტიურად ნახევრადსამთავრობო დაწესებულებას წარმოადგენდა. პირველი, ის საკუთარი სახსრებით აკრედიტებდა სახელმწიფო ხაზინას; მეორე ყოველწლიურად ბანკის მოგების ნახევარი მიემართებოდა სამეფო ოჯახში; მესამე, შვედეთის ფინანსთა მინისტრს ამავდროულად ეკავა ბანკის მთავარი ინსპექტორის თანამდებობა; მეოთხე, ქვეყანაში ყველა საგადასახადო გატარებები ხორციელდებოდა აღნიშნულ ბანკში. იგი იყო არა მარტო პირველი ცენტრალური ბანკის წინამორბედი, არამედ გამოუშვა ევროპაში პირველი სრულფასოვანი ბანკნოტები (და არა დეპოზიტური ხელწერილები) – Kreditivsedlar, რომელთა მიღება სავალდებულო იყო განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, რის შემდეგაც ხდებოდა მათი გადაცემა სპილენძის მონეტებზე. ბანკნოტებს (*Kreditivsedlar*) გააჩნდათ კანონიერი საგადახდო მშუალების სტატუსი და მიიღებოდნენ გადასახადების სამეფო ამკრეფების მიერ. თუმცა Stockholm Banco-ს დიდხანს არ უარსებია: სამეფო კარი ისე ხშირად მიმართავდა მას ფულისათვის, რომ საბოლოოდ ბანკი გაკოტრდა. შესაბამისად, რიკსდაგის დეპუტატების უმრავლესობა გამოვიდა საბანკო საქმიანობის მხარდაჭერის მოთხოვნით (Stockholm Banco წარმოადგენდა ერთადერთ ეროვნულ საბანკო ინსტიტუტს) და Stockholm Banco-ს პრივილეგიები 1668 წელს გადაეცა Riksbank-ს. მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, პარლამენტარებმა Riksbank-ს დაუქვემდებარეს პარლამენტს. 1866 წელს ბანკს ეწოდა Sveriges Riksbank, რომელიც დღემდე ამ სახელით ფუნქციონირებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შვედეთის ცენტრალურ ბანკს აკრძალული ჰქონდა ბანკნოტების ემისია. მხოლოდ 1701 წელს მიეცა მას უფლება გამოეშვა ე.წ. „საკრედიტო ნოტები“.

ლის უზრუნველყოფის მიზნით კომერციულ ბანკებს Riksbank-ში ანგარიშებზე უნდა ჰქონოდათ სადაზღვევო დეპოზიტები. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში Riksbank-ს ეკავა წამყვანი პოზიციები ბანკოტების ემისიის კუთხით. 1897 წელს Riksbank გახდა სრულფასოვანი ცენტრალური ბანკი: რიკსდაგმა მიიღო პირველი კანონი, რომლითაც მას მიენიჭა ფულის ემისიის განსაკუთრებული უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა: